ხურრან მურადი

შურიული

ღვთისკენ სავალი გზა

"დააკანონა თქვენთვის სარწმუნოებაში, რაც უბრძანა ნუჰს და რომელიც ზეშთაგაგონეთ შენ, რაც ვუბრძანეთ იბრაჰიმს, მუსას და ღისას: „რომ დაიცავით სარწმუნოება და არ დაიყოთ მასთან მიმართებაში". მძიმეა კერპთაყვანისმცემლებისთვის იგი, რისკენაც შენ მოუწოდებ. ალლაჰი გამოარჩევს იმისკენ, ინებებს ვისაც და ჭეშმარიტებას აზიარებს, ვინც მიიქცევა მისკენ." (სურა: შურა 42:13)

ისლამური წიგნების სერია -7

www.muslimgeorgia.org

بسم الله الرحمن الرحيم

შეჩვევა

ღვთისკენ სავალი გზა

”დააკანონა თქვენთვის სარწმუნოებაში, რაც უბრძანა ნუჰს და რომელიც ზეშთაგაგონეთ შენ, რაც ვუბრძანეთ იბრაჰიმს, მუსას და ღისას: „რომ დაიცავით სარწმუნოება და არ დაიყოთ მასთან მიმართებაში“. მძიმეა კერპთაყვანისმცემლებისთვის იგი,რისკენაც შენ მოუწოდებ. ალლაჰი გამოარჩევს იმისკენ,ინებებს ვისაც და ჭეშმარიტებას აზიარებს, ვინც მიიქცევა მისკენ.”(სურა: შურა 42:13)

ხურრან მურადი

muslim georgia

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

საჭიროა გავერკვეთ შთაგონება და ანტაგონიზმი

დღეს ისლამური რელიგია აშკარად აფართოებს თავის არეალს,ძლიერდება და ცდილობს,რომ მუსლიმურ ქვეყნებში მიმდინარე რელიგიურ პროცესებს სწორი მიმართულება მიეცეს,რადგან მსოფლიოში დიდი ყურადღება ექცევა ქვეყნების მომავალ განვითარებას. ახალი ენერგიით აღსავსე და ახალი სასიამოვნო იდეებით შთაგონებული ისლამი ცდილობს აღადგინოს შარიათის კანონები,რაც დასაბამიდანვე მთელი ისლამური ცხოვრების წესის ძირითად კანონს წარმოადგენდა. ყველა მუსლიმურ ქვეყანაში ცდილობენ,რომ ცხოვრება ამ კანონის მოთხოვნებს მიუსადაგონ. შარიათი, როგორც მისი მომხრეების,ასევე მისი მოწინააღმდეგეების აზრით ის მიზანია, რომლისკენაც მუსლიმები დაუღალავად მიისწრაფიან,რადგანაც ამ კანონისადმი მორჩილების მიხედვით განისაზღვრება მათი მომავალი ბედი.

პარადქსია,მაგრამ,როგორც ჩანს შარიათი ისლამის სხვა შემადგენელ საფუძვლებს შორის ყველაზე მეტად იწვევს უნდობლობას, შიშს, მტრულ დამოკიდებულებასა და არასერიოზულ განწყობას მათ შორის, ვინც ან ნაკლებად მორწმუნენი არიან, ან უღალატეს თავიანთ ტრადიციებს. ბევრი მიიჩნევს,რომ შარიათი ბარბაროსული და დაუნდობელი, არაჰუმანური და არაცივილიზებული კანონია, რომელიც ეწინააღმდეგება და აბრკოლებს მოდერნიზაციის პროცესს და სამყაროს ისევ ბნელ ხანაში აბრუნებს. ამ კანონის მიხედვით ქალებს მონებივით მოექცევიან, ხოლო არამუსლიმებს მეორეხარისხოვან მოქალაქეებად ჩათვლიან. შარიათის კანონის ოპონენტები ძირითადად მის ისეთ მთავარ მოთხოვნაზე ამბობენ უარს როგორიცაა: “მოკვეთეთ ქურდს ხელი”, “ჩაქოლეთ ცოლ-ქმარს შორის მოღალატე”, “შემოსეთ ქალები ჩადრით”. მიუხედავად ამისა შარიათის

კანონის მომხრეთა რიცხვი დღითიდღე მატულობს.

შედარებით საღად მოაზროვნე ადამიანებიც წინააღმ-დეგნი არიან შარიათის კანონის დამკვიდრების და ეჭვქვეშ აყენებენ მის მნიშვნელობას და დანიშნულებას ცხოვრებაში, რადგან მიაჩნიათ,

რომ თანამედროვე ყოფაში იგი კვლავ აქტუალური და სარგებლობის მომტანი აღარ იქნება. ამიტომ ცდილობენ, დაარწმუნონ მუსლიმები და უარი ათქმევინონ მის ცხოვ-რებაში დანერგვაზე, როგორც წარსულის გადმონაშთზე. ისინი მიიჩნევენ,რომ ზრდასრული ადამიანი არ საჭიროებს რაიმე სახის დამატებით დამხმარე ჰუმანურ რესურსებს გადაწყვეტილების მისაღებად. რატომ უნდა ჩაერიოს ღმერ-თი ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში? რატომ უნდა ერეოდეს ის მის ყველდღიურ უმნიშვნელო საკითხების გადაწყვეტაში? შარიათი ადამიანსა და ღმერთს შორის არსებულ ამაღლებულ ურთიერთდამოკიდებულებას ფორ-მალურ ურთიერთობად აქცევს და ადამიანისგან მხოლოდ

კანონის დაცვასა და მორჩილებას მოითხოვს,იმის მაგივრად, რომ ურთიერთსიყვარულით,ერთმანეთის ერთგულებითა და რწმენაში ჩადგომით გაიხარონ. კანონი,რომელსაც დასაბამი თოთხმეტი საუკუნის წინ დაედო და უდაბნოში მომთაბარე ხალხს შორის გავრცელდა,თანამედროვე ტექნოლოგიური ცივილიზაციის მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებს. ყურანის მთავარი მესიჯი ზნეობის დამკვიდრებაა,მისი კანონები კი სამუდამოდ უცვლელი ვერ იქნება. ის,რომ შუამავალი თავისი საქციელით ზნეობრიობის შესანიშნავი მაგალითია და ამასთანავე თავისი სუნნეთით (ქმედებებითა და სიტყვებთ) შარიათის კანონის წყაროს წარმოადგენს,მხოლოდ მუსლიმთა გონების ნაყოფად მიაჩნიათ. ასეთ და მის მსგავს სხვა მრავალ არგუმენტს ხშირად გაიგონებთ.

შარიათის გაგება

ასეთი გაუგებრობა კაცობრიობის მომავალს კარგს არაფერს უქადის. მან შეიძლება დასავლეთისა და მუსლიმურ სამყაროს შორის გააღრმაოს მტრობა და ურთიერთდაპირისპირება. ეს დაძაბულობა ისტორიულად სულ გრძელდება და თუ ის კვლავ განახლდება და უფრო გამწვავდება შეიძლება მსოფლიო,რომელიც ისედაც დაყოფის საშიშროების წინაშე დგას,საბოლოოდ დანაწევრდეს. ამიტომაც შარიათის რეალურად გაგება და ცოდნა სასწრაფო და აუცილებელია.

შარიათის კანონი მხოლოდ იმაზე არ მიგვითითებს რა შეიძლება გავაკეთოთ და რა არა. ის არც სისხლის სამართლის კოდექსია,რომელშიც მზა რეცეპტებია მოწოდებული, თუ როგორ უნდა დაისაჯოს ესა თუ ის დამნაშავე. მასში ყველაფერია ერთად მოცემული,ერთიანად ეხება ადამიანის ცხოვრების ყველა მხარეს და ფართო მასშტაბებში განიხილავს მას. ხატოვნად რომ ვთქვათ,შარიათი “სუფთა გზას” ნიშნავს. ეს ის გზაა,რომელიც ისლამის მიხედვით ადამიანმა დიდი ძალისხმევითა და გარჯით უნდა გაიაროს, რომ ღმერთთან მივიდეს. შარიათი ღმერთამდე მისასვლელ

ყოველ ნაბიჯს გვიხსნის და ამ ნაბიჯებს მთელი ცხოვრება გვიკონტროლებს. შარიათი ისე აყალიბებს ადამიანის შინაგან, თუ გარეგან პიროვნულ თვისებებს, რომ მან მთელი ცხოვრება თავისი ერთადერთი ღმერთის სურვილებს დაუმორჩილოს.

რას წარმოადგენს შარიათი? ადამიანისა და ღმერთის ურთიერთობა.

შარიათში კარგად რომ გავერკვეთ, კარგად უნდა ვიცოდეთ ადამიანისა და ღმერთის ურთიერთდამოკიდებულება, რასაც ისლამმა დაუდო სათავე. ღმერთი ერთია. მუჰამმედი კი ღმერთის შუამავალია. ისლამის გაგების ძირითად პრინციპს სწორედ ეს მარტივი წინადადება წარმოადგენს.

ღმერთი არის ყოველივეს შემქმნელი, ამიტომ მთელი სამეფო მისია და მხოლოდ ის არის მბრძანებელი.

"უეჭველად, თქვენი ღმერთი ალლაჰია, რომელმაც გააჩინა ცანი და მიწა ექვს დღეში, შემდეგ განუსაზღვრელი ძალაუფლება და მესვეურობა ზემო აღაპყრო. ის ღამეს დღით ფარავს, რომელიც უმალ მოსდევს მას. მზე, მთვარე და ვარსკვლავები მორჩილებენ მას. განა, მხოლოდ მას არ ეკუთვნის გაჩენა და მბრძანებლობა? რაოდენ დიადია ალლაჰი, სამყაროთა ღმერთი! ". (არაფი- 7:54)

და: "გააჩინა ცანი და მიწა ჭეშმარიტებით . მოსავს ღამით დღეს და დღით ღამეს, და ჰმორჩილებენ მზე და მთვარე, ყველა დაცურავს დადგენილ დრომდე. იცოდეთ, რომ იგია ძლევამოსილი, ყოვლისმიმტევებელი!,,

„გაგაჩინათ თქვენ ერთი სულისგან. შემდეგ დაადგინა მისგან მეწყვილე მისი და მოავლინა თქვენთვის საქონლიდან რვა წყვილი. გაჩენთ თქვენი დედების მუცლებში ქმნილებად: გაჩენისა შემდგომ სამ წყვდიადში . სწორედ ესაა ალლაჰი, ღმერთი თქვენი. მხოლოდ მას ეკუთვნის მეუფება. არ არსებობს ღვთაება, გარდა მისი. მაშ, როგორღა

შეიქცევით!". (სურა ზუმერ 5-6)

„ყოველი თემისთვის ჩვენ დავადგინეთ მსხვერპლშეწირვის ადგილი,რათა მათ ახსენონ ალლაჰის სახელი საქონელზე, რომელიც მან უბოძა. თქვენი ღვთაება ერთადერთი ღმერთია! მაშ,იყავით მისი მორჩილნი! შენ კი ახარე მორჩილთ!... ". (სურა ჰაჯჯი 22:34)

"იგია, რომელმაც გაგაჩინათ თქვენ ტალახისგან, მერე დააწესა ვადა და მასთანაა ვადა განსაზღვრული . და თქვენ კიდევ ეჭვი გეპარებათ ?!" (სურა ენღამი 6: 2)

მხოლოდ ღმერთი გვაწვდის ჩვენ ყველაფერს. მხოლოდ მან მიანიჭა ადამიანს იმის უნარი,რომ ხედავდეს,ესმოდეს, ფიქრობდეს და გასაგებად ლაპარაკობდეს, რადგან ამის გარეშე ადამიანი ვერ იარსებებდა,რადგან თავად ამ თვისებებს ვერ გამოიმუშავებს. მისი ნებითაა ხელმისაწვდომი ბუნებრივი რესურსები, რაც უნდა მოიპოვოს, მოიხმაროს და ამით ცხოვრება განავითაროს. თუმცა ამ რესურსებს ის თავად ვერ შექმნის.

დიახ, ადამიანისათვის ნამდვილად აუცილებელია, რომ იცოდეს როგორ უნდა იცხოვროს ისე, რომ წარმატებით აღასრულოს ის მიზანი,რისთვისაც შეიქმნა,როგორ დაუკავშირდეს თავის შემქმნელს,როგორი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს საკუთარ თავთან, მის მსგავს ადამიანებთან და ყველაფერთან,რაც მის გარშემოა. ამიტომ მხოლოდ ღმერთში უნდა ეძიოს მასწავლებელი. ღმერთის გარდა არც მისგან მოშორებით და არც მის უკან არავინაა, ვისაც შეუძლია სწორი პასუხები გასცეს ადამიანის უსასრულო შეკითხვებს და არც

არავის შეუძლია მას რამე ასწავლოს. სხვა ყველაფერი სპეკულაცია და მარჩიელობაა. ის,ვინც ადამიანს უმნიშვნელო მატერიალურ მოთხოვნილებებს უკმაყოფილებს,რატომ არ დააკმაყოფილებს მის გაცილებით უფრო მნიშვნელოვან მორალურ,თუ სულიერ მოთხოვნილებებს?

ყურანში ბრძანებს:

"უთხარი: განა არის თქვენ თანაზიართ შორის,ვინც დაადგენს ჭეშმარიტებისკენ? მიუგე: ალლაჰი დაადგენს ჭეშმარიტებისკენ. მაშ,ვინც დაადგენს ჭეშმარიტებისკენ,უფრო ღირსია,რომ მიჰყვნენ მას,თუ ვინც ვერ დაედგინება ჭეშმარიტებას,თუ არ დაადგენენ მას? და რა გემართებათ თქვენ, როგორდა ნსჯით?

უეჭველად, ღამის და დღის მონაცვლეობაში და რაც ალლაჰმა გააჩინა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა ,სასწაულებია ღვთისმოშიშ ხალხთათვის.". (იუნუს 10:35-6)

და მეტიც:

"ან იქნებ ჰყავთ მათ თანაზიარნი, რომლებმაც დაუკანონეს მათ სარწმუნოებაში ის,რისი უფლებაც ალლაჰს არ მიუცია? და რომ არა სიტყვა გადავადებისა,უთუოდ,გადაწყდებოდა მათ შორის არსებული . და უეჭველად,უსამართლოთათვისაა მწარე სასჯელი." (შურა 42:21)

რადგან კაცობრიობისთვის საჭირო იყო,ღმერთმა ყველა დროისა და ყველა ერის ადამიანებს შუამავლები გამოუგზავნა, რათა მათთან ღვთიური სინათლე მიეტანათ და გაეცნოთ ეს სინათლე მათთვის. მათ შორის იყვნენ ადამი,ნუჰი,იბრაჰიმი, მუსა და ღისა. მუჰამმედი მათ შორის ბოლო იყო. ღმერთმა

დალოცოს ყველა მათგანი.

“დააკანონა თქვენთვის სარწმუნოებაში, რაც უბრძანა ნუჰს და რომელიც ზეშთაგაგონეთ შენ, რაც ვუბრძანეთ იბრაჰიმს, მუსას და ღისას: „რომ დაიცავით სარწმუნოება და არ დაიყოთ მასთან მიმართებაში“. მძიმეა კერპთაყვანისმცემლებისთვის იგი, რისკენაც შენ მოუწოდებ. ალლაჰი გამოარჩევს იმისკენ ,ინებებს ვისაც და ჭეშმარიტებას აზიარებს, ვინც მიიქცევა მისკენ.”. (შურა 42:13)

ადამიანისა და ღმერთის ურთიერთობას თავად სიტყვა “ისლამი” ასახავს, რაც მის მორჩილებას, მისი ნებისა და სწავლების მიმდევრობას ნიშნავს, რაც ჩვენამდე მისმა შუამავლებმა მოიტანეს. ადამიანი მთელი თავისი შეგნებით, ყოველმხრივ უნდა ემორჩილებოდეს მას. მუსლიმანი თავის “პიროვნებას” მთლიანად თავის ერთადერთ ღმერთს და ბატონს,თავის გამჩენს უმორჩილებს. მისი ცხოვრების არც ერთი მონაკვეთი არ არის ისეთი, რომ არ საჭიროებდეს თავისი მბრძანებლისგან მითითებებს და დარიგებებს. ღმერთი, მისი ხელმწიფება და მბრძანებლობა განუყოფელია და ასევე ადამიანიც მთელი ცხოვრება უსასრულოდ უნდა ემორჩილებოდეს მას. ღმერთი სრულყოფილად ნამდვილად ვერ ჩაითვლებოდა,მხოლოდ ადამიანის სულზე რომ ახდენდეს ზეგავლენას,ან მხოლოდ მის მატერიალურ მოთხოვნილებებს რომ აკმაყოფილებდეს,მაგალითად მხოლოდ საკვებს რომ აწვდიდეს ყოველდღე. ამ შემთხვევაში იგი ადამიანის ბედისადმი უდარდელი,უზრუნველი და არაკომპეტენტური აღმოჩნდებოდა და ვერ შეძლებდა ადამიანების ცხოვრებაში უფრო რთული მიზნების მიღწევასა და სხვადასხვა სახის პრობლემების გადაჭრაში დახმარებას.

ადამიანი მას ხოტბას ასხამს,მიმართავს მას და მთლიანად მასზეა დამოკიდებული. ის მუდამ მის ძიებაშია და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მხოლოდ მას ემორჩილება. ადამიანი თავისუფალია თავის არჩევანში აღიაროს, თუ უარყოს ღმერთი, მაგრამ, თუ ის ერთხელ აღიარებს მას,

ბოლომდე მისი მიმდევარი უნდა იყოს. მას არ აქვს უფლება ნაწილობრივ მიიღოს მისი რწმენა და რაღაც საკითხებში უარყოს ის. ამასთან, არ აქვს უფლება სხვასთან ეძიოს წყალობას. თუ ღმერთს ნაწილობრივ უარყოფ, მაშინ ის მთლიანად უარყოფილია შენგან.

"მაგრამ აღმოჩნდა, რომ ხართ ისინი, ვინც ერთმანეთს ხოცავდა. ნაწილს თქვენიანებისას საკუთარი სახლებიდან აძევებდით და მათ წინააღმდეგ ცოდვით და მტრობით ერთმანეთს მხარს უბამდით. და თუ ტყვეებად ჩაგივარდებოდნენ (განდევნილნი), გამოსასყიდს იღებდით მათგან, განდევნა მათი ისედაც გეკრძალებოდათ. ნუთუ წიგნის ერთ ნაწილს ირწმუნებთ, მეორე ნაწილს კი უარყოფთ? თქვენგან ვინც იქმს ამას, საზღაური ამისა არ იქნება სხვა, თუ არა დამცირება ამ ცხოვრებაში და აღდგომის დღეს მიეგებათ მწარე სასჯელი. ალლაჰი უგულისყურო არ არის, იმის მიმართ, რასაც აკეთებთ!" (ალ-ბაქარაჰი 2:85)

"და ნუთუ, ალლაჰის რწმენის გარდა, სხვა რწმენას ეძებენ ეგენი მაშინ, როდესაც, ნებით თუ უნებლიეთ, ყველა მას ჰმორჩილებს, ვინცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა?! და ბოლოს მისთან იქნებიან დაბრუნებულნი." (ალე-იმრანი 3:83)

"და ვინც ეძიებს სხვა სარწმუნოებას, გარდა ისლამისა, მისგან არ მიიღება (ღმერთის წინაშე) იგი (სარწმუნოება), და ის იქნება საიქიოში წაგებულთა შორის.". (იმრანი 3:85)

შინაარსობრივად სიტყვა შარიათი ფაქტიურად სინონიმური სიტყვაა და ის მონაცვლეობით შეიძლება სიტყვა დინის მნიშვნელობითაც ვიხმაროთ, რაც თარგმანში "რელიგიას" ნიშნავს. დინი ლიტერატურულად "ცხოვრების წესს", "მორჩილებას", "მიმდევრობას", ან "გზას" ნიშნავს. თუმცა სიტყვა შარიათი მისი სხვადასხვა ფორმით ხუთ ადგილას გვხვდება: (5:48, 7:13, 21:45:18), მისი ხმარებაში ხშირი გამოყენება გაცილებით მოგვიანებით დაინერგა, რადგან ისლამური რელიგიის ადრეულ პერიოდში სიტყვები ისლამი და დინი უფრო იხმარებოდა ერთი და იგივე მნიშვნელობით.

შარიათი რწმენასაც გულისხმობს და მისი კანონის მიხედვით ცხოვრებასაც, რაც ღმერთის თაყვანისცემაში, ინდივიდუალურ ადამიანურ ურთიერთობებსა და პიროვნულ ურთიერთობებში უნდა გამოვლინდეს. მის მიხედვით უნდა იყოს საზოგადოებრივი ნორმები დაცული. მის კანონს უნდა ექვემდებარებოდეს მუსლიმთა პოლიტიკური, ეკონომიკური, ოჯახური, სისხლის სამართლის კანონი, თუ სამოქალაქო ცხოვრების წესები.

სიტყვა შარიათი უფრო ვიწრო გაგებითაც გამოიყენება, როცა გვინდა იმაზე მივუთითოთ, თუ კანონის მიხედვით რისი გაკეთებაა დასაშვები და როგორი საქციელია დაუშვებელი. დაბოლოს, ეს სიტყვა გამოიყენება, როგორც კანონის აღმნიშვნელი სიტყვა.

ამგვარად, შარიათი აღნიშნავს ადამიანს, რომელმაც მთელი ცხოვრება ღმერთის სამსახურს მიუძღვნა. იმისათვის, რომ ადამიანმა ღმერთის ნება აღასრულოს შარიათის კანონის მიმდევარი უნდა იყოს. თუ ისლამს აღიარებ, მაშინ შარიათის კანონით უნდა იცხოვრო, ხოლო, თუ შარიათის კანონს მთლიანად, ან ნაწილობრივ შენივე სურვილით და წინასწარგანზრახულად, შეგნებულად უარყოფ, ეს მთელი ისლამური რელიგიის

უარყოფას ნიშნავს. ამიტომ მუსლიმი ყოველმხრივ უნდა ეცადოს,რომ ყურადღებით იყოს და სადაც არ უნდა იყოს, ნებისმიერ სიტუაციაში სრულად დაიცვას ეს კანონი,რადგან მუსლიმი დიდი მონდომებით და მთელი ძალით უნდა ასრულებდეს თავის მოვალეობას.

ადამიანის თავისუფლება და ღირსება

შარიათის კანონის მიხედვით ღმერთისადმი სრული მორჩილება,რაც თავად მისივე დადგენილია ოდნავადაც არ აკნინებს ადამიანის ღირსებას და თავისუფლებას. ღვთისადმი მორჩილება ადამიანის თავისუფალი ნების გამოხატვის უმაღლესი აქტია,რადგან მას თავისუფლად შეუძლია ღმერთის მორჩილებაზე უარი თქვას. ღვთისადმი მორჩილება თავად ანგრევს მონობის ყოველგვარ ფორმას,როგორიცაა მაგალითად ადამიანის მიერ ადამიანის დამონება,სხვისი აზრის შეზღუდვა, ბუნების რესურსების ბოროტად გამოყენება, თუ ადამიანის შრომის პროდუქტის მითვისება. სანამ ერთი ღმერთის არსებობას ვაღიარებთ, მანამ ყველა სხვა ცრუ ღმერთი უნდა უარვყოთ.

უფრო მეტიც,ღმერთისადმი სრული მორჩილების შედეგად ადამიანი თავისი სტატუსით ხალიფას დონეს

უტოლდება და დედამიწაზე ყველაზე დაფასებულ ადამიანად ითვლება, რადგან ის მიზანდასახული და თავისუფალია. მას გააჩნია საკუთარი ნების გამოხატვისა და მოვალეობის შეგრძნების მაღალი უნარი. ყურანის მიხედვით ადამიანი ვალდებულია შეასრულოს შარიათის კანონი.

„უეჭველად, ჩვენ შევთავაზეთ პასუხისმგებლობა აეღო ცანსა და დედამიწას და მთებს, მაგრამ უარი თქვეს და შეეშინდათ მისგან, კაცმა კი იტვირთა იგი. უეჭველად, იგი უსამართლოა , უგუნურია! (ალ-აჰზაბ 33:72).

ამით ის ჭეშმარიტებას აღასრულებს. ეს ის ჭეშმარიტებაა,რასაც ვერც ზეცა,ვერც დედამიწა და ვერც მთები ვერ უარყოფენ.

წყაროები

საიდან უნდა გავიგოთ, რომ შარიათის კანონის დაცვა ღმერთის ნების შესრულებაა? ამის დასადასტურებლად ოთხი წყარო არსებობს: 1) ყურანი; 2)შუამავალ მუჰამმადის (ალლაჰმა დალოცოს) სუნნეთი; 3) იჯმა; 4) იჯთიჰადი.

1)ყურანი

შარიათის ძირითადი წყარო ღვთის სიტყვაა, რომელიც შუამავალ მუჰამმედს ემცნო. მთელი სიბრძნე ყურანშია მოცემული და ამას არავინ უარყოფს. ეს სიბრძნე შუამავლის საშუალებით სიტყვა სიტყვით მოვიდა ჩვენამდე.

ყურანში გადმოცემული ყოველგვარი აზრი და თითოეული სიტყვა ღმერთს ეკუთვნის, რაც ნათლად დასტურდება სხვადასხვა ეპიზოდებში სხვადასხვა საშუალებებით. მასში ყველა სხვა სიტყვაზე ხშირად სიტყვა “გამოგზავნილი” მოიხსენება, რაც კარგად ხსნის ყოველგვარი აღმოჩენის პროცესს. პირველი აზრის გაჩენა ეს იყო სიტყვა “იკითხე”. შუამავალი ყოველთვის მიუთითებდა,თუ როდის ხმარობდა ის თავის საკუთარ სიტყვებს და როდის ხმარობდა იმ

სიტყვებს,რაც ღვთისგან ეგზავნებოდა.

ყურანში ძირითადი ხაზგასმა ადამიანის და ერის სარწმუნოებრივ და მორალურ ქმედებებზე კეთდება. ამ საკითხთან დაკავშირებით მასში ყველაფერი სრულყოფილად გასაგებად არის ახსნილი. მასში რაც შეიძლება მოკლედ და ლაკონურად არის გადმოცემული მისი მთავარი პრინციპები, ძირითადი არსი და ის აუცილებელი კანონები და ინსტრუქციები,რაც ისლამური საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის არის საჭირო,რადგან მხოლოდ ერთი საკითხის რეალიზება მეორეს გარეშე ვერ მოხდება. შარიათის კანონს ვერ განახორციელებ,თუ ამისათვის ძლიერი მორალური სიმტკიცე არ გაგაჩნია.

“უთხარი: „შეხედეთ ერთი,რას მოუხმობთ მაგიერ ალლაჰისა? მაჩვენეთ მიწის რა ნაწილი გააჩინეს მათ? თუ მათთვის ერთგვარი წილხვედრაა ცათა? თუკი თქვენ ხართ მართალნი,მომიტანეთ წიგნი ან ცოდნის რაიმე კვალი წინამდებარე ამისა .“(სურა აჰქაფ 46:4)

(2) სუნნეთი

შუამავალი მხოლოდ ღვთიური წერილის მომტანი არ ყოფილა,რომელმაც ღმერთის წიგნი მოგვაწოდა და შემდეგ გაუჩინარდა. მან ღმერთის მითითებით არა მარტო გადმოგვცა მისი მესიჯი არამედ ახალ სარწმუნოებას ჩაუყარა დასაბამი. მან შეცვალა ადამიანი და მთლიანად საზოგადოებაც, გააერთიანა ხალხი და შექმნა სახელმწიფო. თავისი შუამავლობის ყოველი წუთი მისი მიმდევრების დამოძღვრას და წინამძღოლობას მოანდომა. მთელი მისი ცხოვრების მანძილზე ღმერთის ერთგული იყო. რასაც აკეთებდა, ამბობდა, თუ ამტკიცებდა ყოველივეს სუნნეთის მიხედვით ასრულებდა,რაც შარიათის კანონის მეორე ძირითადი წყაროა. ყურანში სუნნეთს საკმაოდ წამყვანი ადგილი უკავია და ისტორიულად მუსლიმურ ცხოვრებასთან ყოველთვის შესაბამისობაშია.

ამ თემასთან დაკავშირებით ყურანში მრავალი განმარტებაა მოცემული. ყველა შუამავალი იმისთვის იყო წარმოგზავნილი, რომ მათ უნდა დავემორჩილოთ. მუჰამმედი შუამავალი და საუკეთესო მაგალითის მომცემია. მისადმი მორჩილება ღმერთისადმი მორჩილებას ნიშნავს.

ყველა განსხვავებული აზრი და სადაო საკითხი განხილული უნდა იყოს ღმერთისა და შუამავლის სწავლების გათვალისწინებით, რადგან ისინი არიან ყველა მოვლენის უმაღლესი შემფასებლები, ადამიანი ვერ იქნება ჭეშმარიტი მორწმუნე, თუ ის ყველა საკითხის საბოლოო შემფასებლად არ მიიჩნევს შუამავალს და მის გადაწყვეტილებებს თავისი ნებით არ დაემორჩილება და უნდობლობით განეწყობა მის მიმართ. „ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! დაემორჩილეთ ალლაჰს და დაემორჩილეთ შუამავალს და ხელმძღვანელს თქვენ შორის. ამის შემდეგ თუ რამე სადაო გაქვთ, მიუბრუნეთ იგი ალლაჰსა და შუამავალს. თუ გწამთ ალლაჰი და დღე უკანასკნელი, ეს უკეთესია და მშვენიერი გამოსავალი ექნება მას!„ (ნისა 4:65) შუამავალი უფლებამოსილია, რომ რაღაცა აკრძალოს, ან რაღაცის ნებართვა გასცეს. რომელნიც მიჰყვებიან შუამავალს, წერა-კითხვის უცოდინარ ელჩს, ვისზეც ნახავენ დაწერილს თავიანთ თევრათსა და ინჯილ-

ში. იგი უბრძანებს მათ კეთილის გაკეთებას და უკრძალავს გასაკიცხს, და ნებას რთავს საამოს და უშლის საძაგელს, და ჩამოხსნის მათ ტვირთსა და ბორკილებს, რომელიც მათთვის იყო. მაშ, რომელთაც იწამეს იგი, მხარში ამოუდგნენ და ეხმარებოდნენ, და გაჰყვნენ ნათელს, რომელიც გარდმოევლინა მასთან ერთად, სწორედ, ეგენი ნეტარნი არიან!„ (არაფი 7:157) უნდა ვაღიაროთ ის, რასაც შუამავალი დაუშვებს, ხოლო რასაც ის გვიკრძალავს, იმას თავი უნდა ავარიდოთ.

„რა ალაფიც ალლაჰმა მიჰმადლა თავის შუამავალს სოფელთა მკვიდრთაგან, ალლაჰს ეკუთვნის, ასევე შუამავალს, ნათესავებს, ობლებს, უპოვრებს და მოგზაურებს. რომ არ ერგუნოს იგი ქონება მდიდარს თქვენ შორის. და რაც მოგცათ თქვენ შუამავალმა, აიღეთ იგი; ხოლო რაც აგიკრძალათ, თავი შეიკავეთ მისგან„ (ჰაშრი 59:7).

სუნნეთი მუსლიმურ საზოგადოებასთან ისტორიულად მუდამ თანხმობაში და კონტაქტში იყო ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა პირველმა ხალიფამ, ებუ ბექრმა თავის თავზე აიღო ამ მისიის შესრულება და თავის შესავალ სიტყვაში ყველას გარკვევით მიმართა, რომ ღმერთი და შუამავალი საყოველთო მორჩილების ღირსნი არიან და ყველამ უნდა ვეცადოთ, რომ მათთან ახლო კავშირში ვიყოთო. ისიც კარგად არის ცნობილი, რომ ისლამის პირველი მიმდევრები ცხოვრების

ყველა სფეროში სუნნეთის მოძღვრებით ხელმძღვანელობენ. იმ დროიდან მოყოლებული ყოველი მორწმუნე თვლიდა, რომ სუნნეთი შარიათის მეორე შემადგენელი ნაწილი იყო.

სუნნეთის ახსნა გადმოცემულია ჰადისის წიგნებში დასაწყისში ამ ჩანაწერებს იმის გამო აკეთებდნენ,რომ ხალხს ეგონა,რომ ის,რასაც შუამავალი ამბობდა და აკეთებდა,ან რასაც ღმერთის მითითებით თავად გადასცემდა მათ,შეიძლება ყურანის ძირითად ტექსტში არეოდათ. ეს ჩანაწერები არ იყო ფართოდ გავრცელებული,რადგან,როგორც დასტურდება ამ ჩანაწერებს ძირითადად გადამწერები აკეთებდნენ. რადგან ის ადამიანები,რომლებიც შუამავალს პირადად იცნობდნენ, კვდებოდნენ, საჭირო იყო მთელი მისი ცხოვრებისეული მაგალითების შეგროვება და სასწრაფოდ მათი ჩაწერა, რისთვისაც დიდი მუშაობა იყო საჭირო. ჰიჯრით მესამე საუკუნის შუა წლებში შეიქმნა პირველი სრულყოფილი წიგნები,რომლებიც დღესაც ხმარებაშია. ისინი საბოლოდ ბუხარიმ (დ.256/87) და მუსლიმმა (დ. 261/875) შეადგინეს და ამჟამადაც ამ წიგნებით ხელმძღვანელობენ. ბუხარი 2,762 ჰადისისგან შედგება,ხოლო მუსლიმი 4,000 ჰადისისგან შედგება.

შეიმჩნევა,რომ ზოგიერთი ჩანაწერი სხვადასხვა პოლიტიკურ,თუ თეოლოგიურ დაჯგუფებების მიერ იყო შედგენილი. რადგანაც სუნნეთის გავლენა ძალიან დიდი იყო,მათი მთავარი მიზანი იყო,რომ ჰადისების გაყალბებით თავიანთი აზრები დაენერგათ ხალხში,მაგრამ ჯერ ერთი სიყალბე ყოველთვის თავად იჩენს თავს და ეს ფაქტიც იმაზე მიანიშნებს, რომ სუნნეთი უხსოვარ დროში იღებს სათავეს და მართლაც უძველესი დროიდან მოდის. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი გაყალბება საჭირო აღარ გახდებოდა. მეორეც, რადგან გაყალბებებთან დაკავშირებით ისტორიული ჩანაწერები არსებობს, ეს იმაზე მეტყველებს, რომ სიყალბე თავიდანვე შეამჩნიეს და სასწრაფოდ შეეცადნენ მის აღმოფხვრას. და ბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ისინი,

ვინც ამტკიცებენ,რომ მუსლიმური თემის ყველა სწავლული ისლამური რელიგიის არსებობის პირველივე ორასი წლის განმავლობაში,ფარულად შეთანხმდნენ,რომ ჰადისით გაეყალბებინათ და შუამავლის პირით გაევრცელებინათ საკუთარი აზრები- სიმართლეს არ შეესაბამება. ასეთი დიდი გაყალბებისთვის კარგად ორგანიზებული და საკმაოდ რთული მცდელობების განხორციელება იქნებოდა საჭირო, რათა ამ მიზნისათვის მიეღწიათ. ამის განხორციელება კი დღესაც შეუძლებელია. ასევე ისიც ძნელად დასაჯერებელია,რომ მხოლოდ ერთმა ადამიანმა შაფიმ,მარტომ შეძლო, რომ შუამავლის გარდაცვალებიდან ორი საუკუნის შემდეგ, მაშინ, როცა მუსლიმანები უკვე ძალიან გავრცელებუნლი იყვნენ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში,ყველა სწავლული და მთელი მუსლიმური თემი ეიძულებინა და მათი სურვილის საწიააღმდეგოდ სუნნეთი შარიათის შემადგენელ ნაწილად ეღიარებინა.

იჯმა (კონსესუსი).

მას შემდეგ, რაც მუსლიმთა საზოგადოება იმაზე შეთანხმდა, რომ ყურანისა და სუნნეთის სწავლებაში, მის ყველა ვარიაციებში გაერკვეს და ცხოვრებაშიც გამოიყენოს, შარიათის კანონის მესამე შემადგენელი ნაწილი შეიქმნა, რომელიც მის ბუნებრივ და მარტივ განსაზღვრებას წარმოადგენს. ნებისმიერი შეთანხმება მიღებული ისტორიულ წარსულში,რომელიც დაიწყო ოთხი ხალიფას,შუამავალის და მისი მეგობრების არსებობის დროიდან დღემდე,მუდამ ურთიერთკავშირშია. ნებისმიერი თანხმობა ძლიერი პრეცენდენტია,მაგრამ არ შეიძლება,რომ ერთი მეორეთი იქნეს ჩანაცვლებული.

იჯმა (ყურანისა და სუნნეთის მიერ დაშვებულ ფარგლებში) მუსლიმთა საზოგადოებას სთავაზობს,რომ კოლექტიურად შეიმუშაონ იმ საკითხებთან და პრობლემებთან დაკავშირებული კანონები,რამაც შეიძლება ამ ცვალებადობით აღსავსე

სამყაროში დამკვიდრებული კანონები ახალი იდეებით გაამდიდრონ.

ში'ასიც ამჯობინებს, რომ იმამიც და მუჯაჰიდიც ასევე მიუდგეს ამ საკითხს, მაგრამ იმამის და მუჯაჰიდის ყველა მცდელობას და გადაწყვეტილებას მაშინ ექნება შედეგი, თუ მათ ეყოლებათ მიმდევრები. არ არსებობს ღვთისგან რაიმე ნიშანი იმისა,რომ ის რომელიმე მათგანს პიროვნულად უჭერდეს მხარს. ში'ასის მიმდევრებს შორისაც დიდია სხვაობა,ისევე,როგორც იმამს შორის.

(4) იჯთიჰადი

შარიათის კანონზე სწორი აზრის შექმნას და მის სწორ შეფასებას იჯთიჰადი ეწოდება. სიტყვა თავად სხვადასხვა კატეგორიების აღმნიშვნელი სიტყვაა, როგორიცაა: აზრი (რა'ი) ანალოგია (ქიასი), სამართლიანობა (ისთიჰსანი), სახალხო სიკეთე (ისთისლაჰი) და ა.შ. იჯთიჰადი იჯმას მიერ შემოთავაზებული გეგმის ნაწილია. ეს ის ძირითადი ელემენტია,რითაც შარიათის კანონი დინამიურობას იძენს,მაგრამ ხშირად ის დამახინჯებულად და არასწორადაა გაგებული, ხოლო მისი ეს თვისება არასწორადაა გამოყენებული. ამ საკითხზე უფრო ვრცლად მოგვიანებით ვისაუბრებთ.

შინაგანი და მორალური თვისებების მნიშვნელობა

შარიათი

შარიათი ერთი შეხედვით ხელისუფალთა და პოლიტიკოსთა მიერ შემუშავებული კანონია,რომელიც მუდამ ვითარდება და იხვეწება,მაგრამ ეს ასე არ არის. მისი ყველა შემადგენელი კანონი რელიგიურია,მაგრამ თავისთავად რელიგია თავისი არსით მარტო კანონი არ არის. კანონი შარიათის შემადგენელი,მასთან შერწყმული ნაწილია და როგორც უკვე აღვნიშნეთ ამ კანონებს შორის არც ერთი არ არის რაღაცით გამორჩეული და განსაკუთრებული. "ლოცვა" ისეთივე ქმედითი,იძულებითი,აუცილებელი და წმინდა კანონია,როგორიც "ინტერესების აკრძალვა", "კონსულტაციები კოლექტიურ საკითხებში",ან "ცოლ-ქმრული ერთგულების დამრღვევთა ჩაქოლვაა".

ამიტომ შარიათი უმთავრესად მორალის, ნორმების,ქცევების და წესების დაცვაა,რაც ადამიანმა კარგად უნდა გაიზიაროს,რომ კარგად დაეუფლოს სახელმწიფოს მართვის ხელოვნებას. თანამედროვე გაგებით კანონი არის ის,რასაც პოლიტიკოსები და ხელისუფლება გვახვევს თავს, ხოლო მუსლიმი სწავლულები კი ამ სიტყვაში ადამიანურ ქმედებებს და მათ მიერ გულკეთილობის გამოვლინებას გულისხმობენ. შარიათი მლოცველს თავისი ვალდებულებების შესრულებას, მარხვის დაცვას და ქველმოქმედებას ავალდებულებს ისევე,როგორც სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონების აღსრულებას.

მოტივაცია და მხარდაჭერა

შარიათი ადამიანს ღმერთთან კონტაქტის დამყარებისკენ მოუწოდებს. იგი გვასწავლის ღმერთის მიმართ შიშს, სიყვარულს, გვავალებს მის მიმართ პასუხისმგებლობასა და ანგარიშვალდებულებას, როგორც ამქვეყნიურ, ისე იმქვეყნიურ ცხოვრებაში. შარიათი დასჯის მრავალ სახეობას გულისხმობს. ყურანისა და შუამავლის სწავლების მიხედვით მკაცრად ისჯებიან ის ადამიანები, რომლებიც ცხოვრებაში მძიმე დანაშაულს ჩადიან, ასევე ის პირები, რომლებიც არ იქცევიან პატიოსნად და ისინი, ვინც სხვის საკუთრებას ხელყოფენ. ალბათ, ამის გამოც არის, რომ შარიათი ყველა მუსლიმს საუკუნეების მანძილზე უბრძანებდა სრულად აღსრულებას. მიუხედავად იმისა, რომ ამ მოწოდებას ხშირად არ ქონია ლეგალური, თუ პოლიტიკური მხარდაჭერა, მას მაინც მრავალი მიმდევარი ყავდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. ადამიანის მაღალი შინაგანი შეგნების გამოა, რომ შარიათის მიერ შექმნილმა ოჯახური ცხოვრების, ალკოჰოლისაგან თავშეკავების, თუ ქველმოქმედების ინსტიტუტმა თოთხმეტი საუკუნის მანძილზე იარსება.

სიყვარული და კანონი

შარიათისთვის დამახასიათებელი არ არის არც "სიყვარულსა" და "კანონს", და არც "რწმენასა" და "ქმედებას" შორის დაძაბული ურთიერთკავშირი, რადგან ეს ურთიერთობები ერთმანეთთან ჰარმონიულ კავშირშია. ადამიანის რწმენაში ჩაყენება ღმერთისგან მასზე მოვლენილი დიდი მადლის, სიკეთის და სიყვარულის ნიშანია. "მისგან წიგნის გამოგზავნაც" ყურანში ისეა აღნიშნული , როგორც დიდი სიკეთისა და სიბრძნის გადმოცემის მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა.

"ზეგარდმოვლენილია მოწყალისგან, მწყალობლისგან" (ფუსსილეთ 41:2)

“უეჭველად,ჩვენ გადმოვავლინეთ იგი დალოცვილ ღამეს. უეჭველად,ჩვენ ვართ შემგონებელნი.„

„მასში წყდება ყველა ბრძნული საქმე”. (დუჰან 44:3-4) და ღმერთის მიმდევარ ადამიანს უყვარს თავისი მეუფე და გამჩენი. ”ალლაჰი. ხოლო რომელთაც იწამეს,უფრო ძლიერ შეყვარებულნი არიან ალლაჰისადმი.”. (ბაქარა 2:165)

„უთხარი შენ (მუჰამმედ): თუ გიყვართ ალლაჰი,გამომყევით მე,რომ ალლაჰმა შეგიყვაროთ თქვენ და შეგინდოთ ცოდვები თქვენი,რადგან ალლაჰი შემწყნარებელი და მწყალობელია!„ (ალ იმრანი 3:31) და მხოლოდ მაშინ,როცა ადამიანი ღმერთის სიყვარულის გამოა შუამავლის მიმდევარი,ღმერთსაც უყვარს ის “ალლაჰმა შეგიყვაროთ თქვენ და შეგინდოთ ცოდვები თქვენი”. (ალი იმრანი 3:31)

ისლამი ერთმანეთისგან არ განასხვავებს სიყვარულს და კანონის დაცვას, რადგან სიყვარული ყოვლისმომცველია. განა შეიძლება, რომ თუ ჩვენ ის გვიყვარს არ შევეცადოთ მის კმაყოფილებას და უარი ვთქვათ მის სწავლებაზე. როგორ შეიძლება მან, ვისაც თავისი გაჩენილები უყვარს, მაშინ მიატოვოს ისინი,როცა სიბნელეში ხელის ცეცებით ეძებენ პასუხს ცხოვრებისეულ პრობლემებზე?!

მორალური იდეალები და ქმედების წესები

ისლამში რწმენა არ წარმოადგენს თეოლოგიურ დოგმას. ის არც ინტელექტუალური კრედოა და არც რაიმე ფილოსოფიური იდეის შემოთავაზება. რწმენა თანდათანობით, ყოველდღიურად მიიღწევა,იგი ჯერ ადამიანის შინაგან,ხოლო შემდგომ მის გარეგნულ ქმედებებსაც მოიცავს,შემდეგ ინდივიდიდან მთელ საზოგადოებაზე ვრცელდება და ის როგორც მორალურ,ისე კანონიერ ქმედებებს განაპირობებს. შარიათი კარგად და გასაგებად გვიხსნის, თუ რა არის რწმენა და როგორი მორალური იდეალების მატარებელი უნდა იყოს ადამიანი. ყველამ,მამაკაცმაც და ქალმაც უნდა

გაითავისოს მისი ფორმულირებები და მასში ჩადებული ყველა კოდი,რადგან ის ღმერთის ერთ-ერთი უდიდესი მადლია და მხოლოდ მისი საშუალებით მიიღწევა საკაცობრიო პროგრესი.

ადამიანები ყოველთვის ცდილობენ, რომ რწმენისა და მორალური იდეალების მიხედვით მოიქცნენ და იმოქმედონ. ზოგი ერთმანეთისგან აცალკევებდა რწმენას და იდეალებს, ზოგიერთები კი დაუსრულებლად ფილოსოფიურ ძიებაში იყვნენ. მათ ვერ მოახერხეს განესაზღვრათ რა არის ეთიკა, მორალი და რა არის კარგი. შეიძლება,რომ რიგითი მამაკაცი,ან ქალი დაელოდოს ყოველივე ამის განსაზღვრებას და საბოლოო პასუხების მიღებას ამ საკითხებზე?!

-თუ ადამიანმა მაღალი მორალით უნდა იცხოვროს და მისი მოვლინების განსაკუთრებული მიზანიც ისაა, რომ საბოლოოდ თავის გამჩენს უნდა შეხვდეს,მაშინ ადამიანი თვალს გაახელს თუ არა,როცა შეგნებულ ასაკს მიაღწევს და შემეცნების უნარი მიეცემა, უნდა იცოდეს რა შეიძლება გააკეთოს და რა არა. მან იმთავითვე უნდა იცოდეს, რომ ის უნივერსლური და აბსოლიტური ჭეშმარიტების მიმდევარია, რითაც მან თავისი გამჩენის კმაყოფილება დაიმსახუროს. სხვა ვისთან,თუ არა თავის ღმერთთან უნდა ეძებოს მან კითხვებზე პასუხები? სწორედ ამაში მდგომარეობს შარიათის მიმზიდველობა. თითოეულმა ადამიანმა იცის, როგორ უნდა მოიქცეს, რომ თავის რწმენასა და მორალურ იდეალებთან იყოს პირნათელი. ამიტომაც არის, რომ გაუნათლებელია ის, თუ ნასწავლი, დამაჯერებელი პასუხი აქვს იმ მარადიულ შეკითხვაზე, თუ რა არის “სიკეთე”. ამის მიუხედავად ვერ ვიტყვით, რომ ეთიკური, თუ მორალური პრობლემები საბოლოოდ

არის გადაჭრილი და უკვე დავიწყებას მიეცა. სანამ ადამიანი არსებობს,ის ყოველთვის აღმოჩნდება რთული არჩევანის,თუ დილემის წინაშე. ამ პრობლემას კაცობრიობა ძველ დროშიც ხშირად აწყდებოდა და თანამედროვე ცხოვრებაშიც. ამიტომ ბუნებრივია,გამომდიარე თავისი მსოფლმხედველობიდან ადამიანი მუდამ იბრძვის იმისათვის, რომ "კეთილმა" გაიმარჯვოს ბოროტზე. შარიათის კანონის დაცვა მას იმის საშუალებას აძლევს,რომ ამ მიზანს უფრო ადვილად მიაღწიოს.

შინაგანი სიდიადე

თუ ჩავთვლით, რომ ისლამი ადამიანებისგან მხოლოდ მოითხოვს,რომ მათ ღმერთისადმი მორჩილება ყოველდღიურ ურთიერთობებში უნდა გამოხატონ, ეს დიდი შეცდომა იქნება. ისლამი ადამიანის შინაგან შეგნებასაც ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და მაღალი შეგნების ადამიანებს განსაკუთრებული ტერმინით მოიხსენიებს: "ისინი, ვინც

მორწმუნენი არიან", ხოლო ისეთი სიტყვები, როგორიცაა იმანი,რწმენა და ამელ სალიჰი,ადამიანის სწორი ქმედების აღმნიშვნელი სიტყვები არიან.

ყურანიც განმარტავს და შუამავალიც მუდამ აღნიშნავს, რომ ადამიანის ღმერთთან შეგნებულ ურთიერთობას მის ყოველდღიურ ქმედებებთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება. შარიათის მიხედვით ერთგულება არ გულისხმობს ფორმალურ ურთიერთობებს. მაგალითად: თუმცა მლოცველები ლოცვისას მექასკენ უნდა მიბრუნდნენ,ყურანში ბრძანებს: არ იქნება სწორი, თუ სახეს მხოლოდ აღმოსავლეთისკენ, ან მხოლოდ დასავლეთისკენ მიაბრუნებთ. „ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გაცემული მოწყალება ამაოდ არ ჰქმანთ დაყვედრებითა და დამცირებით; იმის მსგავსად, რომელიც ხალხის დასანახად გასცემს თავის ქონებას,და არ სწამს ალლაჰი და დღე უკანასკნელი.„ (სურა ბაყარა 2:264) რადგან ღმერთს ცხოველის არც ხორცი და არც სისხლი არ ჭირდება, იგი მხოლოდ და მხოლოდ მოითხოვს შენსგან"ღვთისმოსავობა ღვთისმოშიშეობა. „უსათუოდ ვერ მიაღწევს ალლაჰთან ხორცნი შესაწირისა და ვერც სისხლნი მისი. მაგრამ მიუვა მას მხოლოდ თქვენი ღვთისმოშიშობა. ასე დაგიმორჩილათ მან ისინი თქვენ, რათა ადიდოთ ალლაჰი იმისთვის,რომ დაგაყენათ სწორ გზაზე. მაშ,ახარე სიკეთისმქმნელთ!„(ჰაჯჯი 22:37) ,ნათქვამია ყურანის ერთ-ერთ აიაში. შუამავალი ამბობს: "ბევრი დღისით მარხულობს და ღამით ლოცულობს, მაგრამ შიმშილისა და უძილო ღამის გარდა ხელში არაფერი არ რჩება" (დარიმი). ბოლოს მხოლოდ მას გადაარჩენს ღმერთი,ვინც ღმერთის რწმენას სუფთა და კეთილი გულით შეუდგება.

შარიათი და ტარიყათი

ისლამის ზოგი მიმდევარი, ძირითადად აქცენტს იმაზე ამახვილებენ,რომ ყველანაირი არსებული გზებითა და საშუალებებით მიაღწიოს შინაგან განწმენდას,რათა თავისი

კავშირი გააძლიეროს ღმერთთან. ასეთ მიდგომას ტარიყათი, ანუ სუფიზმი ეწოდება. ასევე ბევრი რამ არის ცნობილი შარიათისა და ტარიყათის ურთიერთდაპირისპირებაზე. ამ ორ ტერმინს მუდამ განასხვავებენ ერთმანეთისგან, თუმცა ორივე მათგანი შედარებით გვიან დამკვიდრებული ტერმინებია. (ადრე ისლამში მხოლოდ სიტყვა ისლამი, ან სიტყვა რელიგია იხმარებოდა, რაც ადამიანის შინაგანი არსის ყველა ასპექტის მომცველი სიტყვაა). იყო ისეთი განსაკუთრებული შემთხვევებიც, როცა ზოგიერთი მხოლოდ ადამიანის გარკვეულ თვისებებზე ამახვილებდა ყურადღებას და არა მის ყველანაირ თვისებებზე. ზოგი შეიძლება განგებ ცდილობდა კიდეც, რომ ამ ტერმინებს შორის ხელოვნურად წარმოშობილიყო კონფლიქტი, რითაც სურდა, რომ ერთის მეორეზე უპირატესობა დაემტკიცებინა. სინამდვილეში არ არსებობდა ორი განსხვავებული გზა და ორი სხვადასხვა გაგება იმისა, თუ ადამიანი როგორ უნდა დაუკავშირდეს ღმერთს. შარიათიც და ტარიყათიც ზუსტად ერთი და იგივე მნიშვნელობისაა და ნიშნავს- გზას. იბნ თამიუას აზრით, ადამიანი, რომელიც კანონებს ემორჩილება, მაგრამ შინაგანად არ აღიარებს ჭეშმარიტებას, ნამდვილ მორწმუნედ არ ჩაითვლება. ასევე, ადამიანი, რომელიც თავს მორწმუნედ მიიჩნევს, მაგრამ შარიათის კანონის დაცვა ზედმეტად მიაჩნია, ვერ ჩაითვლება მუსლიმად.

ისტორიულად სუფისტებიც და კანონის დამცველებიც მუდამ ერთმანეთის გვერდით იდგნენ. სუფისტების უხუცესი ჰასან ბასრი, ფიქიჰისა და თეფსირის ფუძემდებელია. ჯაფერი სალიქი, ებუ ჰანიფე, ძინამძღოლებად მიიჩნევიან, რაც ფაჰრეტტინ ათარის წიგში (წიგნი წმინდანთა შესახებ) არის დადასტურებული. “თადრიხა-ალ-ავლიუვა”

ისევე, როგორც ყურანის, ჰადისის მიხედვითაც ადამიანის, როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი ქმედებები ერთამანეთისგან განუყოფელია. მაგალითად ყურანში ნათქვამია: “ისინი, რომელნიც თავიანთი ლოცვაში მოკრძალებულნი არიან!„

(მუმინუნ 23:2) ის შარიათის კანონის დამცველია, ხოლო თავისი მორჩილებით იგი ტარიყათს განეკუთვნება. ამასთან ისიცაა ნათქვამი, რომ: "მათ ვინც მორწმუნეები არიან ყველაზე მეტად უყვართ ღმერთი" სიყვარული უფრო თარიქათის კატეგორიას მიეკუთვნება, მაგრამ ამასთანავე ნათქვამია, რომ "გეუბნები, თუ შენ ღმერთი გიყვარს გამომყევი მე". ამგვარად, მლოცველის მოწიწება, სიყვარული და მორჩილება ერთმანეთისაგან განუყოფელია, რადგან ის ერთი მედლის ორი მხარეა.

შეუცვლელი ცვალებად სამყაროში.

სამუდამო და შეუცვლელი

შარიათი ყველა დროსა და ყველა სიტუაციაში თანაბარი ძალის მოქმედი კანონი უნდა იყოს. მუსლიმთა ასეთი დაჟინებული და ურყევი მიდგომა ბევრი ადამიანის გაკვირვებას იწვევს, მაგრამ ნებისმიერი სხვაგვარი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით მცდარი იქნება, რადგან სწორედ ამაში მდგომარეობს ამ კანონის მთავარი არსი. რადგან ეს კანონი ღმერთს ემსახურება, მისი შეცვლა მხოლოდ ღმერთის ნებართვით შეიძლება. ისინი, ვინც არსებული მოთხოვნების მიხედვით მასში რაიმე სახის ცვლილებების შეტანას გვთავაზობენ, კარგად ხვდებიან, რომ ამის გაკეთება შეუძლებელია. ამიტომ ისინი მუსლიმებს სთავაზობენ, რომ

ყურანში მოცემული “კანონების” და შუამავლის,როგორც ამ კანონთა მასწავლებლის და დამცველის როლი “დაკნინებული” იქნეს.

რადგან ადამიანებს შარიათის საშუალებით ეძლევათ ინფორმაცია ღმერთის სიკეთის,მისი ცოდნისა და სიბრძნის შესახებ,მასში რაიმე შესწორებების შეტანა მხოლოდ იმიტომ,რომ ადამიანური ფასეულობები და ცხოვრებისეული სტანდარტები ცვალებადია,ყოვლად დაუშვებელია. პირიქით, მასში ჭეშმარიტების ის ნორმებია მოცემული,რომელთანაც ყველანაირი ფასეულობები და ადამიანური ქმედებები შესაბამისობაში უნდა იყოს. ამ ნორმებს უნდა დაუქვემდებარონ ადამიანებმა თავიანთი ქმედებები და ყველა მათი საქციელი ამ კანონის მიხედვით უნდა შეფასდეს.

მითითებების დაყოფა კატეგორიებად.

როგორც დავინახეთ იმის მტკიცება,რომ შარიათის მუდმივი და ყოვლისმომცველია არ ნიშნავს იმას,რომ ამით ყველა სადაო საკითხი,რაც კი ოდესმე შეიძლება წარმოიშვას გადაწყვეტილი იქნება,მაგრამ შარიათის საშუალებით შეიძლება გაურკვეველი,ახალი და ცვალებადი მოვლენები კარგად იქნეს გააზრებული და გადაჭრილი. ამისთვის უნდა შემუშავდეს ისეთი მექანიზმი, რომლის მიხედვითაც შარიათის ნორმები და წესები კატეგორიებად დაიყოფა. ეს კატეგორიები კი ადამიანებს იჯთიჰადის ფორმით მიეწოდებათ.

შარიათის კანონში ჩადებული კოდი

ადამიანის საქციელს და მის ქმედებებს გულით ჩადენილ ქმედებებად და გარეგნულ,ანუ ფიზიკურ ქმედებებად ყოფს, რაც ხუთ სხვადასხვა კატეგორიად არის დაყოფილი:

1. კატეგორიულად აკრძალული (ჰარამი)

2. სავალდებულო (ვაჯაბი ან ფარზი)

3. არ არის მოსაწონი,მაგრამ აკრძალული არ არის (მექრუფი) ამიტომ დასაშვებია განსაკუთრებულ შემთხვევებში

4. რეკომენდირებულია, მაგრამ არ არის მიჩნეული დაუშვებლად (მენდუბი,ამიტომ არ არის სავალდებულო ამის შესრულება)

5. ის,რაზეც არავითარი მითითება და არავითარი აზრი არ არის გამოთქმული და ამიტომ უსიტყვოდ ნებადართულია (მუბაჰი)

ზოგადად, არ არის ნათლად გააზრებული, თუ რა დიდი მადლია,როცა შარიათი კატეგორიების მიხედვით არის დაყოფილი. ამით ადამიანებს საშუალება ეძლევათ სიტუაციისდა მიხედვით თავად აირჩიონ ნებისმიერი კატეგორია. არსებული კატეგორიების მიხედვით თანმიმდევრულად შედარებით ნაკლები რამეა აკრძალული, თუ დაუშვებელი და ამიტომ ადამიანის ყოველდღიური ქმედებანი ძირითადად მუბაჰის კატეგორიას განეკუთვნება. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია და რევოლუციურადაც მიიჩნევა ის, რომ იმ კატეგორიის მიხედვით,რომელიც მიგვითითებს,რომ რეკომენდირებულია, მაგრამ არ არის აკრძალული, ძირითადად მხოლოდ ღმერთის თაყვანისცემის ნორმები უნდა იყოს მკაცრად დაცული, ხოლო რაც შეეხება ყოველდღიურ ცხოვრებას აქ არ არის სავალდებულო ნორმების მკაცრი დაცვა. აქედან გამომდინარე,არანაირი რელიგიური კანონი არ ავალდებულებს ღვთის მორჩილს შეასრულოს და დაიცვას ის ნორმები,რისი შესრულებაც ამ კატეგორიების მიხედვით მას არ ევალება. თუმცა ასეთ ფაქტებს ისტორიის მანძილზე ხშირად ქონია ადგილი.

მაგალითად: დაუშვებელია,რომ ნაფიცლე ლოცვა სავალდებულო გავხადოთ. მიუღებულია ასევე ვინმეს დამატებითი თანხების გადახდა დაეკისროს ღმერთის სახელით,ან,როცა ვინმე გარდაიცვლება დახარჯოს გარკვეული თანხა, რადგან როგორც თანხის აღება, ასევე მისი დახარჯვა ზუსტად არის დადგენილი. რაც შეეხება საკვებს, ყველაფრის ჭამა შეიძლება იმ მცირე გამონაკლისის გარდა,რაც იკრძალება. ადამიანებს არ აქვთ უფლება აკრძალონ ის,რაც ღმერთის ან შუამავლის მიერ არ არის აკრძალული. ღმერთის მიერ ნებადართულის (ჰალალი) აკრძალვა ისეთივე ცოდვაა,როგორც იმის გაკეთება,რაც აკრძალულია (ჰარამი). მუსლიმს უფლება აქვს დაიცვას ის,რაც ყურანისა თუ სუნნეთის მიხედვით სავალდებულო, ან აკრძალულია. მეორეს მხრივ ყურანში მოწოდებულია ისიც, რომ "მუსლიმებმა შეიძლება ზოგი საკითხი კონსულტაციის გზით გადაჭრან", ხოლო ის, თუ როგორ უნდა გადაიჭრას მათი პრობლემები და როგორ უნდა იქნეს გარემოების მიხედვით მიღწეული კონსესუსი ყველა დროში, ეს თავად მუსლიმებს უნდა მივანდოთ.

ადამიანური თვალსაზრისი და კანონმდებლობა

ღმერთის სრული მორჩილება არ ნიშნავს იმას,რომ ადამიანის აზრს მნიშვნელობა არ ენიჭება. პირიქით,შარიათის მიხედვით ადამიანის თვალსაზრისს მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული როლი

ენიჭება. რასაკვირველია, შარიათი მხოლოდ ადამიანთა მოთხოვნებს არ უნდა ეყრდნობოდეს, მაგრამ არც მასთან დაპირისპირებული არ უნდა იყოს.

ეს როლი შემდეგში მდგომარეობს:

ღვთის მოძღვრების გაგება და მისი სწორი ინტერპრეტაცია ახალ, ან განსხვავებულ სიტუაციებში;

ღვთის სწავლების მისადაგება ადამიანური ცხოვრების ყოველგვარ სიტუაციაზე.

წესების,მითითებებისა და ყოველგვარი დადგენილების ძირითად კანონად ჩამოყალიბება.

იმ სივრცეების ათვისება და კანონმდებლობის დანერგვა,სადაც მანამდე არ ყოფილა მოწოდებული ღვთის მოძღვრების არანაირი პირველწყარო.

შუამავლის სიცოცხლეში,მისი მეგობრებისა და მუსლიმთა მომდევნო თაობის არსებობის პერიოდშიც მუდამ იბადებოდა რაღაც განსხვავებული აზრი. შარიათის კანონში დადასტურებულია, რომ ადამიანთა განსხვავებულ აზრს ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

მუდმივი და ცვალებადი.

შარიათში ადამიანის აზრის გათვალისწინება ურთიერთგაგებით,იჯთიჰადით და კონსესუსით მიიღწევა. ეს კანონი ისეთ მექანიზმს შეიცავს, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებულია ის ფაქტი,რომ ადამიანებს სხვადასხვა სიტუაციებში ცვალებადი მოთხოვნილებები უჩნდებათ. შუამავლის გადრაცვალებიდან 50 წლის შემდეგ მუსლიმები ისეთ ახალ

ცხოვრებისეულ სირთულეებს და სიტუაციებს გადააწყდნენ, რაც მედინაში ჩვეულ წყნარ ცხოვრებას ნამდვილად ვერ შეედრებოდა. შარიათი ყოველგვარ ახალ სიტუაციას არა მარტო იმ პერიოდში მოერგო კარგად, არამედ შემდგომი 1 000 წლის მანძილზეც მანამ, სანამ მუსლიმები დასავლეთის პოლიტიკური ძალების გავლენის ქვეშ არ მოექცნენ. ამით დასტურდება შარიათის სიცოცხლისუნარიანობა და მისი უნარი, რომ ყველა დროში დაძლიოს შექმნილი სირთულეები.

მთავარია ვიცოდეთ, რომ ის, რაც შარიათში ბუნებრივად სტაბილური და მუდმივია, არ საჭიროებს ცვლილებას, ხოლო რაშიც ახალმა ცხოვრების სტილმა ცვლილებების საჭიროება წარმოშვა, კანონში არსებობს მითითებები, როგორ შეიძლება ამ პრობლემების გადაჭრა. მოვლენათა დეტალური განხილვის შედეგად თუ ჩათვლიან, რომ გარკვეული მოვლენა განსაკუთრებული და ძირეულია, მისი შეცვლა ნამდვილად არ არის საჭირო. ისევ ვიმეორებთ, რომ მხოლოდ ცხოვრებისეული სიტუაციები და მომენტები საჭიროებენ

ცვლილებებს და არა შარიათის კანონის ძირითადი და პირველადი ფასეულობები და სტანდარტები, ანუ ღვთის დადგენილი ფასეულობები და სტანდარტები შეუცვლელი და საბოლოოა.

ისტორიული განვითარება.

შარიათის ისტორიული განვითარების გაცნობა დაგვეხმარება იმის გაგებაში, თუ რატომ უნდა დაინერგოს ის თანამედროვე ცხოვრებაშიც.

შარიათი, როგორც ცხოვრებისეული კოდექსი წლების მანძილზე ყურანისა და სუნნეთისაგან ყალიბდებოდა. სანამ შუამავალი ცოცხალი იყო, როგორც ყველაზე საუკეთესო მასწავლებელი, ყველა საკითხის და სიტუაციის გადაწყვეტა და მოგვარება მისი დახმარებით ხდებოდა. ის ან თავად იღებდა მითითებებს უზენაესისგან, ან, როგორც ბრძენი და მცოდნე პიროვნება თვითონ იღებდა გადაწყვეტილებებს და აწესრიგებდა კანონებს, რისი სრული უფლებაც ჰქონდა. მისი გარდაცვალების შემდეგ, როცა იქნებოდა რაიმე განსაკუთრებული შემთხვევა, რომლის შეფასებას ის ვეღარ შეძლებდა, მისი მეგობრები ასეთ საკითხებს ყურანის, ან შუამავლისგან მიღებული ცოდნის საშუალებით აგვარებდნენ. ამგვარად, შუამავლის აზრის სისწორეს მისი მეგობრებიც ეთანხმებოდნენ, რადგან ამასთანავე ის ყოველთვის შესაბამისობაში იყო ყურანის დებულებებთან.

შუამავლის გარდაცვალებიდან ასი წლის შემდეგ მუსლიმი მოსახლეობა გაიზარდა და ახალი ცხოვრებისეული სიტუაციები წარმოიშვა. შუამავლის მეგობრები და მათ მიერ გამოზრდილი სწავლულები ყურანისა და სუნნეთის მოძღვრების, მისი ინტერპრეტაციის და აგრეთვე საკუთარი აზრის გათვალისწინებით წყვეტდნენ არსებულ პროცესებს. ხალიფატმა არსებული პრობლემატური საკითხების კანონიერად მოგვარების მიზნით შექმნა ცენტრალური საკანონმდებლო და პოლიტიკური სტრუქტურები. ამასთანავე მუსლიმები

ხშირად მიმართავდნენ შუამავლის რომელიმე მეგობარს, ან მათთვის ნაცნობ რომელიმე ყურანისა და სუნნეთის სპეციალისტს, რომ მათი პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო რჩევები მიეღოთ. თუმცა,ისინი არ ფიქროდნენ,რომ მხოლოდ რომელიმე განსაკუთრებული პირის, ან შუამავლის მიმდევრის კვალიფიციური და ბრძნული რჩევა უნდა გაეთვალისწინებინათ და სამართალდმცავი ორგანოს მიერ დადგენილი ნორმებისთვის ყურადღება არ უნდა მიექციათ.

ხალიფატის (იგულისხმება ხულეფაი რაშიდინ)ხანის დასრულების შემდეგ ისლამური პოლიტიკური ხელისუფლება გამოეყო კანონიერ ხელისუფლებას და მომდევნო ას ორმოცდაათი წლის მანძილზე ადრინდელი ეფექტური და წამყვანი როლი აღარ ეკავა, რადგან მომრავლდნენ სწავლულები, რომლებიც აკმაყოფილებდნენ მუსლიმთა გაზრდილ მოთხოვნილებებს და საჭირო რჩევებს აძლევდნენ. მათ სისტემაში მოიყვანეს და ჩამოაყალიბეს შარიათის და სუნნეთის კანონის მთავარი პრინციპები, რომელთაც მუსლიმები შემდგომში ცხოვრებისეული სირთულის გადაჭრაში იყენებდნენ. სწორედ ამ პერიოდში ასპარეზზე ისეთი დიდი სამართალმცოდნეები გამოჩნდნენ,როგორებიც იყვნენ ჯაფერ სადიყი (დ.148/765), ებუ ჰანიფე (დ.150/767), მალიქი (დ.179/795), შაფი (დ.204/819) და აჰმად ჰანბელი (დ.273/886). ყველა მათგანმა შექმნა თავის მიმდევართა წრე, თუმცა ჯერ კიდევ ვერ შეიქმნა საკანონმდებლო და იურისპრუდენციის ორგანიზებული სკოლები, რის გამოც რიგითი მუსლიმები შეძლებისდაგვარად ისევ ნებისმიერ სწავლულს მიმართავდნენ დახმარებითვის. ამიტომ იყო,რომ გარკვეულ რეგიონებში გარკვეული სწავლულები იკრებდნენ თავის გარშემო მიმდევრებს. სამას ორმოცდაათი წლის შემდეგ დიდ სწავლულთა მიერ შემუშავებული თეორიული ცოდნის მიხედვით კარგად ორგანიზებული სკოლები ჩამოყალიბდნენ, რომლებიც მოუწოდებდნენ, რომ მხარი დაეჭირათ ამ სწავლულთა იდეებისათვის. მომდევნო 300 წლის მანძილზე

რიგითი მუსლიმები სწორედ ამ სკოლებს მიემხრნენ. ყველა მათგანი გარკვეული სკოლის მიმართ გამოხატავდა თავის ერთგულებას და ამა თუ იმ სკოლის მიმდევრები ხდებოდნენ. ეს იმით აისახება,რომ ისინი იმ საკანონმდებლო სკოლას ირჩევდნენ, რომლის წარმომადგენელთან, ანუ რელიგიურ ლიდერთანაც იყვნენ დაახლოებულნი. რომელ მათგანს იცნობდნენ და ენდობოდნენ და რომელ სკოლასაც მიეკუთვნებოდნენ მათი ნაცნობი სამართალმცოდნეები. ხშირად ამ სკოლებს შორისაც ხდებოდა აზრთა დაპირისპირება და დისკუსიები,რაც უმეტეს შემთხვევაში ართულებდა მყარი და გამოკვეთილი პოზიციების ჩამოყალიბებას.

მე-7 საუკუნის შუა წლებში ბაღდადის დაცემა წყალგამყოფი აღმოჩნდა. გადარჩენის ინტიქტმა წინა პლანზე წამოიწია, რამაც იმხანად ინტელექტუალურ რღვევასა და პოლიტიკურ არასტაბილურობას შეუწყო ხელი. მართალია სიფრთხილის გამოჩენას გარკვეული აზრი ჰქონდა,მაგრამ შიშის გამო გარკვეული სიმხდალე გამოიჩინეს და არ დაუპირისპირდნენ და არ შეეცადნენ,რომ შეეჩერებინათ მუსლიმური თემის ინტელექტუალური დეგრადაცია.

მდგომარეობა მას შემდეგ გაუარესდა, როცა მუსლიმები ევროპის პოლიტიკური ძალების გავლენის ქვეშ მოექცნენ. მუსლიმები ყველანაირად ცდილობდნენ, რომ დაეცვათ შარიათი და განეხორციელებინათ ცხოვრებაში, მაგრამ თავიანთ პრობლემებს ვეღარ წყვეტდნენ, რადგანაც მათი კულტურა და ტრადიციები უცხოურმა კულტურამ გადაფარა.

იჯთიჰადი

იჯთიჰადის გამოყენებას დაბრკოლება შეექმნა, რამაც შესაბამისად დიდი ქაოსი და აურზაური გამოიწვია. ამიტომაც დღეს ისევ შეიქმნა იმის საჭიროება, რომ იგი კვლავ ფართოდ გამოიყენებოდეს ცხოვრებაში. მოკლედ უკვე ავხსენით, თუ როგორ შეიქმნა მისი აღდგენის საჭიროება. ისლამის დაარსებიდან პირველი 5 საუკუნის მანძილზე ის მის მოქმედ კანონს შეადგენდა. შარიათის კანონის სწორედ გააზრებისა და შესწავლის შემდეგ მუსლიმთა ინტელექტუალური დონე ძალიან გაიზარდა. მოგვიანებით მონღოლთა შემოსევისას და ევროპული ბატონობის გაძლიერების შედეგად მუსლიმები იძულებულნი შეიქმნენ, რომ ფორმალურად დაფუძნებულ კანონებს დამორჩილებოდნენ და როგორმე გადაერჩინათ

უმმაჰის ეროვნული წარმომავლობა. მაშინაც კი, როცა ეს ძალიან ძნელი იყო როგორც კი ამის შანსი ეძლეოდათ ყოველთვის ცდილობდნენ გამოენახათ რაიმე გამოსავალი ამ სიტუაციიდან. რა თქმა უნდა, გამოსავლის მოძებნა მხოლოდ ყურანის, სუნნეთისა და იჯთიჰადის ხარჯზე არ უნდა მომხდარიყო, რაც თითქოს საკმაოდ მოსაბეზრებელიც კი გახდა.

იჯთიჰადის დაცვა მხოლოდ მათ ხელეწიფებათ, ვისაც ამის უნარი ცოდნა და გაგება გააჩნია. რაც მთავარია ისინი იმდენად ღვთისნიერნი უნდა იყვნენ თავის შინაგანი ბუნებით, რომ იჯთიჰადის დამკვიდრება შეძლონ. რაც არ უნდა ილაპარაკონ ორთოდოქსებმა, რომ ეს კანონი მეტად მკაცრი და დაუნდობელია მისი საბოლოო ანალიზი და შეფასება მხოლოდ მუსლიმებმა უნდა გააკეთონ, რადგან ისლამს თავისი საკითხების განხილვა ეკლესიისათვის არ მიუნდვია.

მცირერიცხოვანი მუსლიმები, რომლებიც მუსლიმურ ქვეყნებში ცხოვრობენ და ასევე დასავლეთის ქვეყნების მოსახლეობაც სწორად მოიქცევა, თუ ხელს არ შეუშლიან გარკვეულად მტკივნეულ პროცესს და მუსლიმები შეძლებენ, რომ დაიბრუნონ თავიანთი იდენტურობა და გაგებით შეხვდებიან ამ პროცესს.

სექტები და საკანონმდებლო სკოლები

განა სექტები და კანონის შემსწავლელი სკოლები არ უწევენ შარიათის დამკვიდრებას მნიშვნელოვან წინააღმდეგობას? დიახ, გარკვეულწილად უწევენ. როგორც ვიცით, ისლამის რელიგიის შექმნიდან პირველი ოთხი საუკუნის მანძილზე, მაშინ, როცა ინტელექტუალური განვითარების ოქროს ხანა იდგა, უამრავი სწავლული წარმატებით მოღვაწეობდა და ასობით საგანმანათლებლო სკოლა შეიქმნა. სუნიტებს მხოლოდ ოთხი სკოლა შემორჩა, შიიტების უმეტესობა კი ჯაფერ სადიქის მიმდევრები გახდნენ. ბანგლადეშში, პაკისტანში, ინდოეთსა და ავღანეთში ძირითადად ჰანაფის სკოლა იყო გაბატონებული; დასავლეთ ევროპასა

და სამხრეთ ეგვიპტეში,ჩრდილო და დასავლეთ აფრიკაში- მალიქის სკოლა; ინდონეზიასა და მალაიზიაში შაფიტური სკოლა იყო დამკვიდრებული; არაბეთში- ჰანბალის,ხოლო ირანსა და ერაყის ნაწილში უმეტესად ჯაფერის მიმდევრები იყვნენ. დგებოდა ისეთი პერიოდიც,როცა დოგმატიზმი და სექტების გავლენა მძლავრობდა (მაგრამ არც ერთი ეს მოვლენა არ შეედრება ევროპის მიერ წამოწყებულ რელიგიურ ომებს). ამ სკოლებს შორის ძალიან უმნიშვნელო განსხვავება იყო,ისინი ძირითადად მსგავსი სკოლები იყვნენ. ძირითად საკითხებში ისინი მართლაც არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. განსხვავება მხოლოდ ის იყო,რომ ერთი და იგივე საკითხის ახსნისას ისინი განსხვავებულ დასკვნას აკეთებდნენ,რაც ხშირად პრობლემებს ქმნიდა,მაგრამ მათი დაძლევა ადვილად ხდებოდა. შესაძლოა ძნელია ადრინდელი ისლამისდროინდელი ტრადიციების დაბრუნება, მაგრამ ამის მიღწევა შესაძლებელია,თუ ქვეყნის ნებისმიერ ნაწილში მოახერხებენ იმ პირებთან თანხმობის გამონახვას,რომლებიც იქ გაბატონებულ რელიგიას მართავენ და მოახერხებენ,რომ შარიათის მიხედვით იცხოვრონ. ყველა ადამიანს უნდა ქონდეს უფლება,რომ თავისუფლად დაიცვას თავისი რწმენა. ყველა სექტა თავისი კანონიერი სისტემის მიმდევარი უნდა იყოს.

მუსლიმური უმცირესობები

არაისლამურ ქვეყნებში საკმაოდ დიდი მუსლიმური ჯგუფები ცხოვრობენ. ბევრი მათგანისათვის დასავლეთი უკვე მშობლიურ ქვეყანად იქცა. როგორ შეძლებენ ისინი,რომ შარიათის მიხედვით იცხოვრონ? რასაკვირველია,მათ სურთ იმ ქვეყანაში იცხოვრონ,სადაც იმყოფებიან და თავისი ბუნებისათვის დამახასიათებელი განსხვავებული წვლილი შეიტანონ იმ საზოგადოების განვითარებაში,რომლის წევრებიც თვითონ არიან. მათი ღვაწლი მდიდარ ისლამურ კულტურას ემყარება,რომლის ძირითადი შემადგენელი ნაწილი შარი-

ათია. მიუხედავად იმ დიდი სიძნელეებისა, რისი გადატანაც მათ უხდებათ, ისინი ცდილობენ, რომ დაიცვან და შეინარჩუნონ შარიათი, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მათ რწმენას მძლავრად და სამუდამოდ აქვს ფესვები გადგმული. სამწუხაროდ, იმ მუსლიმებს, რომლებიც დასავლეთში ცხოვრობენ და არა მუსლიმურ ქვეყნებში დიდი სიძნელეების გადალახვა უხდებათ, რათა დაიცვან შარიათი თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებაში. მხოლოდ მცირე მათგანს აქვს იმის

საშუალება, რომ ადავლინონ ლოცვები პარასკევობით. ისეთ დაწესებულებებში როგორიცაა სკოლები, საავადმყოფოები და ციხეები, ვერ იცავენ საჭირო დიეტას და ღებულობენ მხოლოდ იმ საკვებს, რაც ნებადართულია. უმეტესად, არც ადგილობრივი ხელისუფლება და არც საზოგადოება არ ითვალისწინებს იმ რეალობას, რომ მათ შორის მუსლიმებიც ცხოვრობენ.

დასკვნა.

რაც არ უნდა თავშეკავებით ეკიდებოდნენ იმ ფაქტს უცხოელები, რომ შარიათი განსაკუთრებული მნიშვნელობის

მოვლენაა, ვერასდროს უარყოფენ, რომ ის ღრმად საფუძ-
ლიანი, სოლიდური სტრუქტურაა, რომელმაც დასაბამი მისცა
უმშვენიერეს და სულისშემძვრელად ლამაზ საკაცობრიო
ცივილიზაციას, რომელიც დედამიწაზე ყოველი მეხუთე ადა-
მიანისთვის დღესაც მხარდაჭერისა და შთაგონების წყაროა.